№ 25. 26 ივნისს 1871 26 ივნისს № 25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი

| თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაგზავნით | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| ერთისს წლისა | — 7 მან. | — — — 6 მან. |
| ნახევარის წლისა | — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | — 2 — 50 კ. | — — — 2 |
| ერთის თვისა | — 1 — | — — — „ — 75 კ. |
| ცალკე ერთის ნომრისა | | — — — „ — 15 კ. |

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით —ასოზე $1/2$ კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

# დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამატუნის სახლში. თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ქუთაისში — გ. ქალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლ. ლოლუასთან შაგარინის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახ-

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეექვსე.

### ნახევარი წლის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

მიიღება თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში (ხანის ქუჩაზე, მელიქიშვილის და კამ. სტამბაში) და

ქუთაისში — გერასიმე ქალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში).

### ხელ-მოსაწერი ფასი

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ნახევარ წლისა, გაუგზავნელათ | — 3 | და 50 |
| თფილისში და სხვაგან, გაგზავნით | — 4 მან. | |

ვინც მთელი წლის „კრებულისა“ და ნახევარი წლის (1 ივლისიდამ) „დროების“ დაბარებას მოინდომებს, იმან ექვსი მან. უნდა გამოგზავნოს „დროებისა“ ან „კრებულის“ რედაქციის კანტორაში.

### შინაარსი

რედაქციის განცხადება.—სახალხო შკოლები—საქართველო: სახალხო შკოლები ახალციხის მაზრაში („დროების“ კორრესპონდენცია),—შორაპნიდამ („დროების“ კორრესპონდენცია). — რუსეთი: — წვრილი ამბები. — უცხო ქვეყნები: საფრანგეთი, — ბელგია, — გერმანია, — ესპანია, — ავსტრია და ვენგრია. — ნარევი. — განცხადება. ფელტონი: ერთი საღამო საზაფხულო თეატრში. — ს. წკეპლაძისა.

### სასოფლო შკოლები

მკითხველს არ უნდა გაუკვირდეს, რომ ჩვენ ხშირათ მოგვიხდება ხოლმე იმასთან ამ საგანზე ლაპარაკი: ხალხის განათლება ისეთი საქმეა, რომელსაც, არა თუ ჩვენისთანა გაუნათლებელი ხალხი, თვით უგანათლებულესი ევროპის ქვეყნებიც უმთავრეს ყურადღებას აქცევენ ამ ჟამად, რადგანაც იციან, რომ ეს განათლება არის ერთი უპირველესთაგანი საშუალება ყოველი ერის კეთილ-ცხოვრებისა და წარმატებისათვის.

დღევანდელ მკითხველთან საუბრის მასალას გვაძლევს ჩვენ ორი კორრესპონდენცია: ერთი „სახალხო შკოლები რაჭაში“, რომელიც „დროების“ წინანდელ (24) ნომერში იყო დაბეჭდილი და მეორე „ორიოდე სიტყვა ახალციხის მხარის სახალხო შკოლებზედ დღევანდელ „დროებაში“. ორივე კორრესპონდენციის დამწერს—უფ. შარაბიძეს და ჯულელსაც — ეტყობათ, რომ დაახლოვებით იციან ადგილობრივი შკოლების მდგომარეობა და ამიტომ ზოგიერთ ჩვენ მოსაზრებებს იმათგან მოყვანილ ფაქტებზე დავაფუძნებთ.

ორივე კორრესპონდენციიდამ ცხადათ სჩანს, რომ როგორც რაჭაში, აგრეთვე ახალციხის მაზრაშიაც სასოფლო შკოლების მდგომარეობა ძალიან საბრალოა. არცერთ ამ ადგილების შკოლას არა აქვს არც ხეირიანი სადგომი და მებელი, არც სწავლისათვის საჭირო წიგნები და სხვა მასალები და არც მასწავლებელი ჰყავთ ხეირიანი. ამ მიზეზების გამო, რასაკვირველია, შაგირდებიც ძალიან ნაკლებათ დაიარებიან ამ შკოლებში და სადაც დაიარებიან, რიგიანი სწავლა არც იქ ეძლევათ.

უფ. შარაბიძე ოთხი რაჭული შკოლის მდგომარეობას აგვიწერს. ყურადღების ღირსია, რომ ეს ოთხივე შკოლა სამღვდელო პირების თაოსნობით და მეცადინეობით გახსნილა და თუმცა ჭაპან-წყვეტით, მაგრამ მაინც არსებობს.

სოფ. პატარა ონს, მაგალითად, ამ სამი თუ ოთხი წლის წინეთ ადგილობრივ მღვდელს საკუთარი ხარჯით გაუმართავს სახალხო შკოლა; პირველათ ოციოდე შაგირდი ჰყავდა თურმე და თითო შაგირდი წელიწადში ოთხ მანეთს აძლევდა; მაგრამ ამ უკანასკნელ დროს, როგორც კორრესპონდენტი იწერება, შაგირდები თანდათან შემოაკლდენ, სწავლის ფასს გლეხ-კაცები აღარ აძლევდენ და ამ ჟამად ოთხი ყმაწვილის მეტი აღარ დაიარება შკოლაში, ასე რომ მღვდელი მალე იძულებული იქნება დაკეტოს შკოლა. სოფ. სადმელის შკოლის საქმე ამაზე უარესათ გათავებულა: აქაც პირველათ ოციოდე შაგირდები იყვნენ თურმე; მაგრამ ბოლოს შკოლის სადგომი დაძველებულა, ასე რომ სახურავიდამ წვიმა ჩამოდიოდა, და სოფელმა იმდენი თაოსნობა არ მოახდინა, რომ შეეკეთებინა. ამის გამო ეს შკოლა ახლა გაუქმებულია. ამ ნაირათვე უკან-უკან მიდის სხვა ორი შკოლაც, რომელზედაც ჩვენი რაჭველი კორრესპონდენტი იწერება.

ამაზე უარესს თუ არა, უკეთესს სურათს არ წარმოგვიდგენენ ახალციხის მაზრის შკოლები, რომელზედაც უფ. ჯულელი იწერება; რამდონსამე ალაგას იქაურ მოლლებსა და ტერტერებს გაუმართავთ სახალხო შკოლები, მაგრამ, ვაი, იმისთანა გამართვას! არც ხეირიანი სადგომი, არც ხეირიანი მასწავლებელი და არც სხვა არავითარი საშუალება ამ შკოლებს არ მოეძევებათ თურმე.

სწავლის შესახებ ორივე კორრესპონდენტები იწერებიან, რომ „სწავლა ამ შკოლებში ძველი მეთოდით არისო“; და ახალციხელი კორრესპონდენტი ამას გარდა ამბობს, რომ აქაურ სახალხო შკოლებში შაგირდებს ცემა-ტყეპასაც არ აკლებენო.

აი, ამ არა-სანუგეშო სურათს წარმოგვიდგენენ რაჭისა და ახალციხის მხარის შკოლები. იმერეთში და ქართლ-კახეთში ამას გარდა სხვაგანაც მოიპოვებიან სახალხო შკოლები და არა გვგონია, რომ იმათი მდგომარეობა ზემოაღწერილ მდგომარეობაზე ბევრით უკეთესი იყოს.

ის გარემოება რომ ჩვენში გამართულია და თან-და-თან იმართება სასოფლო შკოლები, ამტკიცებს, რომ ხალხს გაუგია სწავლის სარგებლობა და ამიტომ სცდილობს იმის შეძენას. იმერეთისა და განსაკუთრებით სამეგრელოს შესახებ ამის დამამტკიცებელი მაგალითები ჩვენს გაზეთშიაც რამდენჯერმე იყო მოყვანილი. რისთვის უნდა ხალხს სწავლა, რა სარგებლობას მოელის იმისაგან, ჩინოვნიკათ გამოსვლისთვის, თუ არზების საწერათ—ყველა ამაებს ამ შემთხვევაში ჩვენ სრულიად არ

## ფელტონი

### ერთი საღამო თფილისის საზაფხულო თეატრში

დღეს ივნისის ოცდა სამია. გუშინ საღამოს ისეთი წვიმა დაასხა თფილისის სახლების გაცხელებულ სახურავებსა და გამტვერიანებულ ქუჩებს და ამ ქუჩებზე ისეთი ნიაღვარი ადინდა, რომ, გემებით თუ არა, ნავებით მაინც ივლიდა კაცი; და ადამიანი რომ ღმერთს, მიწის მაგივრათ, შაქრისაგან გაეჩინა, თითქო კოკის პირიდამ გადმოშვებული წვიმა იმას უთუოთ გაადნობდა. მაგრამ, მადლობა ღმერთს, წავიდა ის დრო, როდესაც, როგორც სტრაბონი ამბობს, „კასპიის ზღვიდამ სურამამდი მტკვარზე გემები დადიოდენო“ და როდესაც მაშასადამე გემები გვქონია: ახლა უგემოთაც კარგათ ვცხოვრებთ... ვერც მიწისგან გაჩენილი ადამიანები დაგვადნო გუშინდელმა წვიმამ. იმან მხოლოთ ის მოიქმედა, რომ დოლი დაულბო ალექსანდროვის ბაღში მუზიკის მკვრელ მედოლესა და გაფანტა იქიდამ უდარდელათ მოსეირნე ახალგაზდა ქალები და კაცები.....

* * *

დღეს ბუნება ისე გაახლებულათ სჩანს, ჩვენი ბაღების ხეებს წვიმამ ისე გაურეცხა ფოთლები და ამ ფოთლებს ისეთი სიმწვანე და სიცხოველე მიეცა, რომ ყოველ ბუნების თაყვანის-მცემელ კაცს გული გაუნათლდება და ტუჩებზე ნეტარების ღიმილი გამოეხატება როგორც მშვენიერი სადილის შემდეგ ხავერდის მდივანზე წამოწოლილ კაცს არ შეუძლია წარმოიდგინოს—როგორ ასობით და ათასობით იხოცება შიმშილის და უსახლკარობისაგან ღარიბი ხალხი,—ისე დღეს ვერ შეგიძლია წარმოიდგინო—რანაირი შემაწუხებელია თფილისის სიცხე იმათთვის, ვისაც უწყალო ბედისაგან სოფელში, ან დაჩაზე წასვლის შეძლება მოსპობილი აქვსთ...

* * *

მაგრამ ოცნების ძალდატანებით, მე როგორც არის ვიგონებ იმ სიცხეს, რომელმანც გასულ კვირაში თფილისელებს კინაღამ სული ამოგვახდინა. დილიდამ საღამომდი სიცხე, საღამოდამ დილამდი სიცხე. ამისთანა დროს რა უნდა გააკეთოს კაცმა? დილიდამ საღამომდი, თუ გარეთ დიდი საქმე არა გაქვს, ზიხარ სახლში და ან გძინავს, ან წამოგორებული ხარ ლოგინზე, ადამის ტანისამოსში, და ჰხვნეში. საღამოს ცოტა აგრილდება და გარეთ გამოდიხარ. სად წახვალ? ჰო! საღამოს დროს-გასატარებელი საზაფხულო ადგილები ჩვენ დალოცვილ თფილისს, ღვთის მადლით, საკმაოთა აქვს. ჩაიხედეთ „კავკაზში“, გადაიკითხეთ იმის მოწინავე სტატიები და მაშინ დარწმუნდებით ამაში.

* * *

მაგრამ ყველა მუშტაიდებს, სან-სუსებს, მონ-პლეზირებს, არტისტიულ და სხვა ნაირ „წრეებს“ მე საზაფხულო ანუ ინჟინერის ბაღი და იმის პატარა, ლამაზი თეატრი მირჩევნია...

დიახ, საზაფხულო თეატრი და იმასთან ინჟინერის ბაღი მშვენიერი რამ ადგილია! ვისაც „წყლული გულის“ დარდების განქარვება, მიუღწეველი საყვარლის დავიწყება, სინიდისის დაჩუმება, ერთი სიტყვით, ვისაც ჰსურს „დავიწყებას თავი მისცეს, ნეტარების ცრემლი ღვაროს“,—ყველას, ყველას ურჩევ აქ წავიდეს დროს გასატარებლათ და, დარწმუნებული ვარ, არ ინანებს. მე ვიყავი წასულ კვირას ამ ინჟინერის ბაღში; ვღვარე იქ ნეტარების ცრემლი, სამი მანეთი, ოფლის წურვით შეძენილი ფული, დავხარჯე, და არ ვნანობ... რა არის სამი მანეთი იმ ნეტარებასთან, რომელსაც მე იქ ვგრძნობდი! განა კაცის სიამე, იმის ნეტარება, იმის სურვილის დაკმაყოფილება აიწონება და ფულით გაისყიდება?

* * *

საღამოს ცხრა საათია. ფარდა დაეშვა იმის ნიშნათ, რომ პირველი ანტრაქტი დაიწყო დამანეთიან, მანეთ-ნახევრიან და სამ მანეთიან პუბლიკას ბაღში გასეირნება შეუძლიანთ. პუბლიკა ჯგუფ-ჯგუფათ და ტყუპ-ტყუპათ გამოდის; მანეთიანების რიცხვში თქვენი მორჩილი მონაც გახლავს.

გაზით გაჩირაღდნებული ბაღი, ხეებზე გაკიდებული ფანრები, მშვენიერი შადრევანი, ათას ფერათ აჭრელებული და მოსეირნე ახალგაზდა და მოხუცებული ქალები და კაცები—თვალს ურყევენ და გონებას უფანტევენ თქვენ მორჩილ მონას! აგერა თეატრის წვერიდამ საღამოს ცხრა საათზე ახლათ ამოსულა მზე და მთელ ბაღს რაღაც თვალთმაქცური სინათლით ანათებს!

მე ჩამოვჯექი სკამეიკაზე. ჩემ წინ ათას ნაირი სურათები იცვლებიან. რა მშვენიერათ სჩანს ყოველი ამ სინათლეში, რამდენი ეშხის ცეცხლით ელვარებენ ელექტრიული სინათლისაგან ახალგაზდა ქალების თვალები! რა ბავშური უდარდელობა და კმაყოფილებაა გამოხატული ყველა მოსეირნეების სახეზე!?

* * *

აგერა, მკლავი მკლავში გაყრილნი დახტუნავენ ერთად სამნი დები, რომელთაც „ქალებს—გრენადერებს“ ეძახიან და რომელნიც ყოველ ახალგაზდა კაცს ისე უყურებენ, როგორც დამშეული მგელი მსუქან ბატკანს შეხედავს ხოლმე! აი, მშვენიერი თ—რი ყოველი გულის დამტუქსველი და ჩვენი არისტოკრატიული საღამოების დამშვენებელი! იმას ჩაუკიდნია ხელი მეორე მშვენიერი არსებისთვის, რომელიც ცოტათი უფრო მაღალია. ამათი სიმშვენიერე და ეშხი ებრძვიან ერთმანეთს. აგერა, ერთდროს მშვენიერი, მაგრამ ახლა კი, ვაი, დამჭკნარი ვარდი, ადვოკატის ცოლი, რომელსაც, ორ არშინიანი კუდის შემდეგ, ერთი ქერა, გაცვეთილი ახალგაზდა კაცი მოსდევს უკან!

* * *

ჩემ გვერდით სხდება ორი ახალგაზდა ქალი. ისინი ადრე დაწყებულ ლაპარაკს აგრ-

და საზოგადოთ სიტყვიერებაზე როგორი ყურადღება აქეთ მიქცეული. ქართული ენის სწავლებას შკოლებში აქაური ქართველი მასწავლებლები იმის ნახევრათაც არ უგდებენ ყურს, რამდენათ სხვა ენებისა და საგნების სწავლებას (**). აქაურ მასწავლებლებს ჯამაგირები იმდენი აქვთ, რომ სოფელში მყოფის მასწავლებლისათვის საკმაო არის; ამ ჯამაგირით იმათ შეუძლიანთ კიდეც იცხოვრონ რიგიანათ და ქართული გაზეთები და წიგნები მოიპოვონ თითქმის ყველანი, რაიცა არიან ეხლა ქართულ ენაზე. მაგრამ, საუბედუროთ ჩვენდა, ამის მსგავს ამბავს ძნელათ იპოვით აქა და, გარწმუნებთ, რომ ზოგიერთი მასწავლებლები ვერ გეტყვის, თუ ჩვენ ენაზე რა გაზეთები გამოდიან და ან რა წიგნები არიან დაბეჭდილნი?. იქნება, ერთი მიზეზი იმისა, ჩვენი შკოლების მასწავლებლები ქართული ენის სწავლებას ყურს რომ არ უგდებენ ის იყოს, რომ თვით პროგრამმაშიაც არ არის ამ საგანზე ჯეროვანი ყურადღება მიქცეული. . . . წლეულს კი, თიბათვეში, „შეყრილობა“ უნდა ექმნეთ (სიეზდი) ნავთლუღში, ალექსანდრიის სემინარიაში, საზოგადოთ მასწავლებლებს, სადაც ზოგიერთ პედაგოგიურ საგნებზე უნდა მოილაპარაკონ; მე გავიგონე, რომ ამ ყრილობაში ქართული ენის სწავლებაზედაც იქნება მოლაპარაკება. ვნახოთ, როგორ წაიყვანენ ჩვენი ქართველი მასწავლებლები ამ კეთილ საქმეს? დააწესებენ ბლომათ ქართული ენის უროკებს სასოფლო შკოლებში თუ არა?.....

ამ შკოლებს გარდა, ახალციხის მაზრაში სხვა უბრალო სასოფლო შკოლებიც მოიპოებიან; ეს შკოლები ხალხის ხარჯით არიან გახსნილნი და იმათში ტერტერები და მოლლები ასწავლიან თავისებურათ... ამისთანა სწორეთ სახალხო შკოლები ეხლა ხუთ სოფელში ერთი მაინც უთუოთ მოიძებნება. ზოგს ამათგანში მე თითონ, ჩემის თვალით, მინახავს საწყალი ყმაწვილების სწავლება, იმათი უსკამოთ ძირს სხდომა, უსტოლოთ წიგნების ხელში ჭერა, უმეთოდოთ სწავლება და ცემა-ტყეპა. როდესაც ვხედავ ამ სურათს— ყმაწვილების წვალებას — ის ძველი, გულის-შემაწუხებელი, დროება მომაგონდება, როდესაც თვითონ მე ვსწავლობდი, და თითქმის მთელი ტანი ერთოლვას დამიწყებს ხოლმე შიშით.. გარდა ამისა იმათი ხმა-მაღლივ გალობა, რომელსაც თითქმის ერთს საათს გაუწყვეტლივ ამბობენ ხოლმე, საზიზღარი და ყმაწვილების შემაწუხებელი რამ არის; თვითონ მასწავლებლები კი ბევრჯერ დიდის კვეხნით ლაპარაკობენ და აქებენ ყმაწვილებს, რომ მშვენიერი გალობა იციან ჩემმა შაგირდებმაო, მხოლოდ ეს არისო, რომ ცოტა ხანი არის რაც ვასწავლიო, თორემ უფრო ბევრი ეცოდინებათო . . . . ხშირათ შემხვედრია, ან მინახავს სადმე ამათი მამასახლისები და პატიოსანი პირები და მითქვამს, რომ მაგნაირი სწავლება ყმაწვილებისათვის მავნებელია, რიგია, თქვენ ნასწავლი მასწავლებელი დაიჭიროთ, იმისთანა, რომელსაც შეეძლოს ახალ წესსე ყოველი საგნების სწავლა,—მაგრამ, მსგავსად ქართველებისა, ყოველთვის ეს პასუხი მიმიღია: „პაპა ჩემს, მამა ჩემს არ უსწავლია, მაგრამ ჩემზედ უკეთ უცხოვრიათ და მე ეს სწავლაც მეყოფაო“. მსენი რომ თავიანთ ნებაზედ მიუშვას კაცმა, მგონი, სულაც არ ისწავლიან. მაგრამ აქ ამ შემთხვევაში მოვალე არის მახლობელი მთავრობა, რომა ერთ საზოგადოებაში, რომელიც შესდგება ხუთი ან ექვსი სოფლიდამ, უშოვოს კარგი ნასწავლი მწერალი, რომელსაც ბევრი საქმე არა აქვს რა, და რომელსაც შეეძლოს რიგიანათ ყმაწვილების სწავლება შკოლაში; და მაშინ კი იმედი იქნება, რომ სწავლა რიგზედ წავა, თუ არა ამ ადამის მეთოდით სწავლისაგან ბევრი არა გამოვა რა, და, როგორათაც ზევითა ვსთქვი, ყმაწვილების წვალება კი უმეტესი არის, ვინემ სწავლება.

სპირიდონ ჯუღელი.

ივნისის 4, 1871 წელსა.

**) ამის მიზეზი გახლავთ პირველად ისა, რომ აქაურ ქართველ მასწავლებელმა ქართული ნაკლებათ იციან, და მეორეთ ისა, რომ ქართულ ენაზე წიგნები არ არიანო, თითონვე ამბობენ.....

## შორაპნიდამ

(„დროების“ კორრესპონდენცია)

დღეს რომ ორშაბათია, ყვირილის სტანციაში მოვიდა რკინის გზით ლოკომოტივი, რამდონიმე სამუშაო ვაგონებითა. შუადღის დროს უცფათ შემოვიდა დაბაში და ერთ მინუტზედ რომ გეყურებინათ ორას-სამას კაცამდი მიეხვიენ სანახავათ. საზოგადოებაში ზოგი პირჯვარს იწერს, ზოგი დაილოცა, ღმერთო, შენი სახელიო, ყვირის, ზოგი გოგრებს უყურებს, უნდა გაიგონ თუ რას მიყავს ამდენი ვაგონები. ერთი სიტყვით, ჩვენ ხალხს არა გაჰკვირვებიარა ამისთანა არასოდეს, ამისთანა უცხო მოვლენის ნახვის დროს ხალხის გაკვირვებას თქვენც მიხვდებით. ხუთი მინუტის შემდეგ ისევ რიონისკენ წაიყვანეს და ხვალ, როგორც ამბობენ, რკინებს მოიტანსო. ვგონებ, ახლო-მახლო სოფლებში კაცი არ დარჩება, რომ არ მოვიდეს იმის სანახავათ.

შორაპნელი

# რუსეთი

ნეჩაევის საქმე, „პეტერბურღის უწყებების“ სიტყვით, ივლისში გაირჩევა პეტერბურღის სამოსამართლო პალატაში. ბრალდებულები ხუთ კატეგორიათ არიან გაყოფილნი: პირველს ეკუთვნის 11 პირი, რომელთაც აბრალებენ, რომ საიდუმლო პოლიტიკური საზოგადოება შეადგინეს და რევოლიუციურ აზრებს ავრცელებდენ. მეორე კატეგორიას ეკუთვნის 30 მოსკოველი სტუდენტები პეტროვის სამეურნეო აკადემიის და უნივერსიტეტისა; მესამეს 15 პეტერბურღელები, მეოთხეს—ციმბირელები და მეხუთე კატეგორიას ეკუთვნიან ვინც იცოდა და არ აცნობა მმართებლობას ამ საზოგადოების არსებობა. „პეტერბურღის უწყებებში“ სწერენ, რომ ამ ბრალდებულების დაცვა საუკეთესო ადვოკატებმა იკისრესო; სხვათა შორის დამცველების რიცხვში არიან: სპასოვიჩი, არსენიევი, ურუსოვი, ხარტულარი და სხვ. ამ შესანიშნავი საქმის გარჩევის დროს, სამოსამართლო პალატის კარები პუბლიკისათვის ღია იქნება.

*
* *

პედაგოგიური კურსები, რომელნიც პეტერბურღის, მოსკოვის, ხარკოვის და ოდესის სამასწავლებლო მაზრებთან იყვნენ გამართულნი, მოისპობიან და მათ ნაცვლათ სასოფლო შკოლებისთვის მასწავლებლების მოსამზადებლათ, ზემოხსენებულ ქალაქებში, სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯით, სამასწავლებლო სემინარიები გაიხსნებიან.

*
* *

ერთს მოსკოველ გაზეთში სწერენ, ვარშავში ასზე მეტი პრუსიიდამ გამოქცეული ფრანცუზები მისულან და მოკლე ხანში ათას კაცს კიდევ მოელოდნენო. პოლშელები და იქაური ფრანცუზები დიდი თანაგრძნობით უცქეროდნენ თურმე ამ ტყვეებსა. ადგილობრივ მმართებლობას მოუხდენია განკარგულება, რომ ისინი აღარ გადმოუშვან რუსეთის სამზღვარზე და ვინც არიან მოსულნი, ისინიც უკანვე გაგზავნონ.

*
* *

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით, ამას წინეთ ყველა მოსკოვის უეზდის სასოფლო შკოლების მასწავლებლები შეკრებილან მოსკოვში და სხვა და სხვა პედაგოგიურ კითხვებზე ჰქონიათ მოლაპარაკება. ამ ყრილობაში სხვათაშორის 40 მღვდელი ყოფილა, რომელნიც ზემოხსენებულ შკოლებში მასწავლებლებათ არიან.

*
* *

როგორც პეტერბურღში „წერა-კითხვის კამიტეტი„ ანუ საზოგადოება, რომელიც ხალხისთვის სასარგებლო იაფ წიგნებს სცემს და ავრცელებს იმათ ხალხში, ისე მოსკოვშიაც არის მეორე საზოგადოება, რომელსაც ჰქვია სახელათ: „სასარგებლო წიგნების გამავრცელებელი საზოგადოება“ და აგერ ათი წელიწადია არსებობს. ამ საზოგადოებამ გამოაცხადა წელს თავის ათი წლის მოქმედების ანგარიში, რომლიდგანაც ეტყობულობთ, რომ ამ ხანის განმავლობაში საზოგადოებას 103 სხვა და სხვა წიგნი გამოუცია, სულ 349,200 ეკზემპლიარი და ამაში დაუხარჯავს—49,260 მან; ამ რიცხვიდამ 150,470 ეგზ. გაუყიდნია და 33,840 მან. აუღია. ამას გარდა 16,300 წიგნი უფულოთ დაურიგებია ღარიბი ხალხისა და შკოლებისათვის. წიგნების ავტორებისათვისაც 20,000 მან. დაურიგებია. ამ სხვილი ციფრებისაგან მკითხველი დაინახავს, რა კარგათ მიდის ამ სასარგებლო საზოგადოების საქმე და რა კარგი შეძლება აქვს იმას.

*
* *

სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულებით, წელს პირველი ივლისიდამ შემდეგ ქალაქებში გაიხსნება კიდევ პროგიმნაზიები: პეტერბურღში, ოდესაში, რიაზანში, ყაზანში, ხარკოვში და სხ., სულ 9 ქალაქში. ზემოხსენებულმა სამინისტრომ დანიშნა ამ პროგიმნაზიებისთვის წელიწადში 122,580 მან.

*
* *

როგორც წინეთ ვსთქვით, ხოლერა ისევ გაძლიერებულა პეტერბურღში და მოსკოვში; ორი-სამიკვირის წინეთ ძალიან იშვიათათ ხდებოდნენ თურმე განსაკუთრებით პეტერბურღში ამ ავათმყოფობით ავათა და ახლა კი 9 ივნისს 29 კაცი მოუყვანიათ მარტო ღოშპიტლებში. 10 ივნისს სულ 205 სული ყოფილა ავათ. მოსკოვში 11 ივნისს—119 ხოლერით ავათმყოფი ყოფილა ქალი და კაცი. ეს მარტო ღოშპიტლებში; ერთი ამოდენიც, უეჭველია, კერძო სახლებშიაც იქნებიან.

*
* *

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი

მთელი ევროპის ყურადღება ამ ჟამად იმაზეა მიქცეული—როგორ მმართებლობის ფორმას ამოირჩევს თავისთვის საფრანგეთის ხალხი. მომეტებული ნაწილი ნაციონალური კრების დეპუტატებისა, რომელზედაც ეს საქმე დამოკიდებულია, ბურბონის და ორლეანის დინასტიის მომხრეებს ეკუთვნიან; ამას გარდა, თუმც თვითონ ტიერმა გამოაცხადა, რომ ის რესპუბლიკას არასოდეს არ უღალატებს, მაგრამ ამასთანავე ისიც სთქვა, „არც მონარხიის წინააღმდეგი ვიქნები, *) თუ თვითონ ხალხი რომლისამე ბურბონის ან ორლეანის ტახტზე დასმას მოინდომებსო—თითქო ტიერს არ შეეძლოს ამ ხალხის სურვილის თავისებურათ მიმართვა. მარტო ახლანდელ ნაციონალურ კრებაზე და ტიერზე რომ იყოს დამოკიდებული საფრანგეთისათვის მმართებლობის ფორმის ამორჩევა, ისინი, უეჭველია, ახლავე რომელსამე ორლეანის პრინცს დასვამდენ საფრანგეთის ტახტზე. მაგრამ ახლანდელი ნაციონალური კრება სრული არ არის: იმას აკლია კიდევ 114 დეპუტატი და იმათი ამორჩევა 2 ივლისსაა დანიშნული. ამ ამორჩევებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ახლა საფრანგეთისთვის, რადგან მმართებლობის ფორმის ამორჩევა ნაციონალურ კრებაში კენჭის ყრით იქნება, და ვისაც უფრო მომეტებული მომხრეები ეყოლება თავისკენ, ის გაიმარჯვებს: თუ ამ ამორჩევებში მომეტებული ნაწილი მონარხიელები ამოირჩიეს, მაშინ, უეჭველია, ბურბონს ან ორლეანს დააჯდენენ საფრანგეთის ტახტზე და თუ მომეტებული ნაწილი რესპუბლიკელები შევიდნენ ნაციონალურ კრებაში, მაშინ, იქნება, რესპუბლიკა დაარსდეს. ამის გამო ახლა გაცხარებული ამორჩევითი მოძრაობაა პარიჟში და პროვინციებში. ყოველ გვარი პარტიები აცხადებენ თავიანთ პროგრამმებს და ურჩევენ ხალხს (ამომრჩევლებს), რომ ჩვენი მომხრეები ამოირჩიეთო. ორლეანისტები ამბობენ, მაგალითად, რომ საფრანგეთის დახსნა, იმის უწინდელივით ამაღლება და დამშვიდება მხოლოთ ორლიანის დინასტიის მომხრეებს შეუძლიანთო; „ზომიერი რესპუბლიკელები“ (ბურჟუა) აშინებენ ხალხს რადიკალური რესპუბლიკელებით, რომელთაც უკანასკნელ პარიჟის რევოლუციას აბრალებენ, და „კეთილ-გონიერი“ და შეძლებული კაცების ამორჩევას ურჩევენ ხალხს; „რადიკალური რესპუბლიკელიბი“ თავის მხრით აცხადებენ, რომ რაც საფრანგეთს უბედურება შეემთხვა ამ უკანასკნელ დროს და წინეთაც სულ ბურჟუას და მონარხიელების ბრალიაო, რომელთაც ხალხის შევიწროება, იმის კისერზე ჯდომა და იმის შრომით სარგებლობა ჰსურსო, და ამიტომ გირჩევთ, ისეთი პირები ამოირჩიოთ, რომელთაც კარგათ იცოდნენ გაჭირვებული ხალხის და მუშების მდგომარეობა და სურდეთ იმათი ამ გაჭირვებისაგან დახსნაო. მაგრამ, რაც უნდა ბევრი მომხრეები შეიძინონ ამ ამორჩევებში რადიკალურმა რესპუბლიკელებმა, მონარხიელების ოდენი მომხრეები მაინც არ ეყოლებათ იმათ ნაციონალურს კრებაში და ამიტომ ძალიან საეჭვოა, რომ საფრანგეთში რესპუბლიკა დაფუძნდეს. „ზომიერ“ რესპუბლიკელებზე ხომ სულ არ არის იმედი: ჟულ-ფავრი, ჟულ-სიმონი, პიკარი, დიუფორი, თვითონ ტიერი და სხვა ზომიერი რესპუბლიკელები ისეთი პირები არიან, რომელნიც უბრალო ხალხის მდგომარეობას სულაც არ აქცევენ ყურადღებას, რომელთაც ბლომათ შეუძენიათ ქონება და ამიტომ იმათ თავის სასარგებლოთ და ვალდებულებათ მიაჩნიათ ხალხის ხელის-მოჭერა და იმ მდგომარეობაში ჩაყენება, რომ იმას არ შეეძლოს ბურჟუას და საზოგადოთ შეძლებული ხალხის ენება და მშვიდობიანობის დარღვევა.

აი, ამ ხალხის მაგრათ ხელების დასაჭერათ ტიერს განუზრახავს შიგ შუაგულ პარიჟში უშველებელი სიმაგრის აშენება, რომელშიდაც რამდონიმე ათი ათასი ჯარისა და ზარბაზნების დაყენება შეიძლება. ამ ციხე-დარბაზის დანიშნულება ის იქნება, რომ, თუ როდისმე პარიჟში ხალხი აჯანყდა და რისიმე უკმაყოფილება გამოაცხადა, აქედამ დაუშენენ იმათ და მსწრაფლათ დაამშვიდებენ. ერთ ფრანცუზულს გაზეთში ამ ციხის აშენების თაობაზე აი რასა სწერენ: „გასაკვირველია, პოლიტიკურ საქმეებში გამოცდილმა და ისტორიკოსმა—ტიერმა—როგორ არ იცის, რომ მუდამ მიტრალიეზებისა და სახრჩობელას შიშით რომლისამე ხალხის მმართვა შეუძლებელი საქმეა? როგორც არ იცის, რომ ამავე საშუალებით (ე. ი. ციხით) შეიძლება ისეთმა პირებმა ისარგებლონ, როგორც ნაპოლეონი, რომელთაც ეს ციხე თუ ჩაიგდეს ხელში, მთელ პარიჟს და ამასთან მთელ საფრანგეთსაც დაიპყრობენ?“ მაგრამ ტიერს ფრანცუზები მაინც ძალიან ემადლიერებენ თურმე, როგორც

*) ედგარ კინე (რადიკალური რესპუბლიკელი) ამბობს, გასაკვირველიაო, რომ ტიერი ამასაც ამბობს, რესპუბლიკას არ უღალატებო და იმასაც, რომ არც მონარხიის წინააღმდეგი ვიქნებიო.—ამას გარდა მე ვერ წარმომიდგენია, ამბობს ედგარ კინე, ისეთი რესპუბლიკა, რომლის მმართებლობა მონარხიელებისაგან არის შემდგარი.“

